პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 94 (20484) — პარასკევი, 21 აპრილი, 1989 წელი. — ფასი 3 კაპ.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე, რომელიც 20 აპრილს გაიმართა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. გუმბარიძის თავმჯდომარეობით, განიხილა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური საკითხები.

ბიურომ მოისმინა ინფორმაცია აჭარის ასს რესპუბლიკაში სტიქიური უბედურების შესახებ, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ღრმა სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულთა ოჯახებს.

ბიურომ შექმნა სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისა და დაზარალებულთათვის საჭირო დახმარების გაწევის სამთავრობო კომისია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ჭითანავას მეთაურობით. ამასთან დაკავშირებით დაამტკიცეს პირველი რიგის გადაუდებელ ღონისძიებათა გეგმა.

განიხილეს პოლიტიკური ვითარების შემდგომი სტაბილიზაციის ღონისძიებათა საკითხი. აღნიშნა რა, რომ, რესპუბლიკასა და მის დედაქალაქში მდგომარეობის გარკვეული ნორმალიზაციის მიუხედავად, იგი კვლავ დაძაბულია, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაავალა იხელმძღვანელონ დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პრინციპებით და დღენიადაგ გააძლიერონ ცოცხალი, პრაქტიკული ორგანიზატორული მუშაობა მასებთან.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური [illegible] [illegible] [illegible]

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

უპირველესად და ყველაზე უფრო ყურადღებით უნდა მოისმინონ პარტიული და საბჭოთა ორგანოების მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები. სწორედ ეს, ყოველმხრივი, აწონ-დაწონილი დიალოგი უნდა გადაიქცეს სწორ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებად.

არ უნდა გვაშინებდეს არაფორმალური საუბარი უმაღაყოფილოებთან, თვითმოქმედი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებსაც თავიანთი თვალსაზრისი აქვთ. აკრძალვა, ხელოვნური დაბრკოლებებისა და ბარიერების შექმნა, ისევე როგორც მკვდრადშობილი, ხელოვნური რეკომენდაციები ხელს ვერ შეუწყობს ვერც ერთი საკითხის, ვერც ერთი პრობლემის გადაჭრას, თუ არ იქნა აზრების, იდეების, წინადადებების გაზიარება.

გარდაქმნა რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციისათვის, თითოეული პარტიული კომიტეტისათვის, თითოეული კომუნისტისათვის დღეს, ახლა, მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ყველაზე პირველ და ყველაზე ძნელ ეტაპზე ნიშნავს: ვიყოთ ადამიანებთან, მოვეუსმინოთ ადამიანებს, მოვუსმინოთ ადამიანებს, უფრო მეტად ვენდოთ შრომითს კოლექტივებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. ახლა ასეთი დროა, — მათ უნდა ასწავლონ მუშაობა პარტიულ კომიტეტს, და არა პირიქით, თორემ შეიძლება კვლავ დავუბრუნდეთ იმ მდგომარეობას, რომლდანაც ეს-ეს არის დავიწყეთ გამოსვლა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაავალა დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი 22 აპრილს საკავშირო კომუნისტური შაბათების მოწყობისთვის, რაც საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ ჩამორჩენა სახალხო-სამეურნეო გეგმების რეალიზაციაში.

განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტისათვის კომუნისტთა დასაარსებად საქართველოს სრულ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პარტიულ კომიტეტს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ გააძლიერონ ორგანიზატორული, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა თანამედროვე პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, რათა ოითოეულმა კომუნისტმა სწორად გაიგოს პარტიის პოლიტიკა ეკონომიკის დარგში და შეძლოს სწორად განახორციელოს იგი თავის სამუშაო უბანზე. პარტიულმა ორგანიზაციამ ძირითადი ძალისხმევა უნდა მოახმაროს იმ მრავალი საკითხის გამარტებასა და დაზუსტებას, რომლებიც აწუხებს საზოგადოებას, ეკონომიკური რეფორმების განხორციელებასა და რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის კურსთან დაკავშირებულ საპროგრამო მითითებათა განსაზღვრას.

ბიურომ შექმნა სპეციალური კომისია პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ბ. მახარაშვილის ხელმძღვანელობით, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს წინადადებანი თბილისში, კომუნარების ბაღში რევოლუციის საქმისათვის მებრძოლთა მემორიალის შექმნის შესახებ.

ბიუროს სხდომაზე გამოთქვა სურვილი დაჩქარდეს საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხებზე საჯარო დისკუსიების ორგანიზაცია. ამ დისკუსიებმა უნდა დააკმაყოფილოს საზოგადოებრიობის ინტერესი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, სახელმწიფო წყობილებისა და მშენებლობის საკითხებისადმი, ჩვენი რესპუბლიკის უახლესი ისტორიის სხვა აქტუალური საკითხებისადმი, აგრეთვე ობიექტური შეფასება მისცეს საბჭოთა საქართველოს ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მათს როლსა და მნიშვნელობას.

რესპუბლიკის მთავრობას დაევალა წარმოადგინოს წინადადებანი საზოგადოებრიობის მიერ გამოთქმული სურვილის შესაბამისად ეკოლოგიური ვითარების გაუმჯობესების შესახებ.

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რა სოხუმში, ბათუმსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საკითხს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ფილიალების ფუნქციონირების შესახებ და დაავალა საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას გააუქმოს წინათ მიღებული გადაწყვეტილებანი ამ საკითხებზე და განმტკიცოს ამ ქვეგანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს სსრ გამსაჯომს დაავალა გაზარდოს საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების ალმანახის „განთიადის“ მოცულობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განიხილეს 30-იან წლებში რეპრესირებულ პირთა პარტიული რეაბილიტაციის საკითხები, მიიღეს გადაწყვეტილება ზოგიერთ საკადრო საკითხზე, აგრეთვე პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა საკითხებზე.

# ტრაგედია ხულოში

(დასასრული)

ძალები მობილიზებულია. მიმდინარეობს საძიებო და საშველი სამუშაოები. ვითარების შესასწავლად თბილისიდან ადგილზე ჩავიდნენ მთავრობის წევრები.

დახმარების პირველი ღონისძიებები უკვე განახორციელა საქართველოს პროფსაბჭომ. ხულოში მომხდარი უბედურების შესახებ ცნობის მიღებისთანავე ჩვენი რამდენიმე მუშაკი ბათუმს გაემგზავრა. დაზარალებულთა მისაღებად ვამზადებთ ჩვენს გამგებლობაში არსებულ სანატორიუმებსა და ტურბაზებს მწვანე კოსტზე, ციხისძირსა და ჩაქვში. ისინა ყველფრით უზრუნველყოფილი იქნებიან, — გვითხრა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვიქტორია სირაძემ.

**(„კომუნისტის“ კორ.).**

**ბათუმი**, 20 აპრილი. **(საქინფორმის საკ. კორ.).**

მიწის, ქვებისა და ხე-ტყის მასის ქვეშ აღმოჩნდა ოთხი სახლი, სადაც ცხოვრობდნენ შაინიძეებისა და დვალთაძეების ოჯახები, წინასწარი მონაცემებით — ოცდაათზე მეტი კაცი. ოპერატიულად განხორციელდა ყველა ღონისძიება ხალხის გადასარჩენად. ჯერჯერობით მიწის მასიდან ამოიღეს ორი დაღუპულის გვამი, აგრეთვე ამოიყვანეს ხუთი კაცი. სამწუხაროდ ერთი მათგანი მალე გარდაიცვალა. დაღუპულთა შორის არიან ადგილობრივი სკოლის დირექტორა შალვა შაინიძე, ამავე სკოლის პედაგოგი ანზორ აბაშიძე და ყოფილი ინტერნაციონალისტი მეოთხარა 22 წლის აბესალომ აბაშიძე.

ვერაფრით ვერ მიუგნიათ სარეისო ავტობუსის კვალისათვის, რომელიც მიდიოდა სოფელ ხიბაძირიდან, როგორც ვარაუდობენ ამ ავტობუსში 22 კაცი იჯდა. იგი მეწყურში მოჰყვა.

არც ერთი წუთით არ წყდება საშველი სამუშაოები უბედურების რაიონში. ამ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი მცხოვრებნი. სოფელ წაბლანაში ჩამოვიდნენ მედიცინის მუშაკები. პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევად აქ მოიტანეს ყველა საჭირო შესაბვევი მასალა, სამკურნალწამლო საშუალებები, პორტატიული სამედიცინო მოწყობილობა.

აი, უკვე რამდენიმე დღეა არ ცხრება სტიქია აჭარის მთებში. გრძელდება მეწყერი, ზვავის ჩამოწოლა. თოვლის ინტენსიური დნობას შედეგად ბევრი მდინარე ადიდდა. სულ უფრო მეტი ადამიანი იძულებული დასტოვოს თავისი საცხოვრებელი.

ხულოს რაიონის სხვადასხვა ადგილიდან მოდის ცნობები ზვავების, მეწყრის ჩამოწოლის, დანგრეული შენობების, დაზიანებული გზების, ტყის მასივების, სახნავების, ბაღების, პირუტყვის დაღუპვის შესახებ. განსაკუთრებით საგანგაშო ვითარებაა ჩაობა, ვაშლოვანში, ღორჯომში, ღურტაში, ირემაძეებში, ფაჩხაში. ექვსი სახლი დაიფარა სოფელ ფეშრუკაულში.

ძალზე რთული სიტუაციაა შუახევის რაიონის სოფელ ტბაფაში. დაიფარა საშუალო სკოლის, ფოსტის, ბიბლიოთეკის, მაღაზიის შენობები. 40 ოჯახმა დაკოვა მშობლიური ადგილები. მეზობელ სოფელ ახალდაბაში ჩამოქცეულმა მთის ფერდობმა დაანგრია საავტომობილო გზის დიდი უბანი. მიწითა და ღორღით გაივსო მოსახლეთა ეზოები.

მიღებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილება მთიან აჭარაში სტიქიური უბედურებისაგან დაზავებულთათვის სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ. დადგენილებაში, კერძოდ, გათვალისწინებულია რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონში ხალხის გეგმაზომიერი გადასახლება, რაც უკვე დაიწყო.

შუახეველები და ხულოელები, რომლებიც ჩამოვიდნენ წულუკიძის, თეთრი წყაროს, სიღნაღისა და სხვა რაიონებში, კმაყოფილი დარჩნენ მათთვის შეთავაზებული პირობებით.

— შარშან ჩვენმა ოჯახმა ახალმოსახლეობა გადაიხადა, — ამბობს სოფელ ფეშრუკაულის კოლმეურნე დურსუნ ჯაიანი. — ახლა აღარც სახლი გვაქვს, აღარც პირუტყვი გვყავს, მაგრამ უბედურებაში არ მიგვატოვეს. გადავსახლდით წულუკიძის რაიონში. იქ კარგად დაგვხვდნენ.

— მეც დამენგრა სახლი, — ამბობს ბებერი ციფრი, რომელიც აქაურ მეცხოველეთა შარშანდელი საქმიანობის შედეგს ასახავს: ფცელებმა საგეგმო 85-ის ნაცვლად 156 ტონა ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს, 430 ტონის ნაცვლად კი 444 ტონა რძე.

წლეულს მოიჯარეებმა 482 ტონა რძე უნდა დაამზადონ, ერთ ფურზე საშუალოდ 2472 კილოგრამი უნდა ჩამოწველონ. ხორცის დამზადების დავალება 60 ტონაა. დღეისათვის მეცხოველეობის ფერმამ 18 ტონა ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს. მეურნეობის ეკონომიკური სამსახურის გაანგარიშებით ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება შარშანდელთან შედარებით წლეულს 11-13 პროცენტით შემცირდება.

საგრძნობლად გაიზრდება მოიჯარეთა თვიური გამოშშავება, ერთხელ და სამუდამოდ უკუაგდებენ გთანაბრებას პრინციპს დოვლათის განაწილებაში.

კიდევ ერთი შტრიხი, ურომლისოდაც სრული ვერ იქნება ფცელ მოიჯარეთა საქმიანობის სურათი. ახლა, როცა ბრიგადაში აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, გადაწყვიტეს იჯარით დამატებით აიღონ კიდევ 360 ჰექტარი ფართობი. წლის ბოლოს სულ ცოტა 400 ტონა თივა, 1100 ტონა სილოსი, 370 ტონა სენაჟი დაამზადონ, რაც საბოლოო ჯამში კიდევ უფრო შეამცირებს წარმოებული მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულებას.

თქმა არ უნდა, იჯარის დანერგვა-დამკვიდრების ეს სავალი გზა უბრალო და იოლი როდია. ეს ძნელი საქმეა, თუნდაც იმითომ, რომ ადამიანთა შეგნებაში ფსიქოლოგიურ შემობრუნებასთან არის დაკავშირებული. ფცაში იჯარა ძნელად, მაგრამ მაინც მიიწევს წინ, მეურნეობრიობის ფართო გზაზე გადის.

და მაინც ურწმუნო თომებს რა გამოლევს ამ ქვეყნად!

— საით წავა მომავალში აგროფირმა, იჯარა, კოოპერატივი, „იქით“ ხომ არა, ამ საქმეს კაპიტალიზმის სუნი ხომ არ აუდის? — დაეკვეთით კითხულობენ მავანნი.

— არა, — მშვიდად უპასუხებს ურწმუნოებს მეურნეობის დირექტორი თამაზ თხელიძე, იღებს თაროდან თხელტანიან წიგნს, რომელსაც ყდაზე აწერია „კოოპერაციის შესახებ“ და ამბობს: აი, ეკითხოთ რჩევა ლენინს...

**ბურამ ვაშაკიძე,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**

## განვაცხორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები

**„სოციალისტური საკუთრების ურთიერთობათა გარდაქმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ამ ეტაპზე კი, შესაძლოა, გადამწყვეტი გზაა სოფლად საიჯარო ურთიერთობის განვითარება. სწორედ იჯარის მეშვეობით შეიძლება ყველაზე სრულად შეისახას ხორცი ლენინის იდეამ პირადი ინტერესის აქტიური ამოქმედების თაობაზე, დაუბრუნდეს ადამიანს ბატონ-პატრონის გრძნობა, სტიმული მიეცეს მის შემოქმედებითს შესაძლებლობებს“.**

**სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმის მასალებიდან.**

— **ჯოიჯარეთა** მოძრაობამ ადამიანების ხასიათი სხვაგვარად წარმოაჩინა. შრომამაც ახლებური შინაარსი შეიძინა. დაიკარგა წვრილმანი მეურვეობა და ადრინდელი პროცესისათვის დამახასიათებელი სხვა მავნე ჩვევები. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მოიჯარეთა კოლექტივში წარმოუდგენელია ქურდობა, წამალი პირუტყვისა და მეღორეობის ფერმებში განახორციელა, წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის გამიზნული ღონისძიება გახლდათ: გამოათავისუფლეს 20 კაცი და 32-მა მოიჯარემ 52 კაცის საქმე იკისრა. ისიც სათქმელია, რომ მეძროხეობის ფერმაში 824 სული პირუტყვია, მეღორეობის ფერმაში კი — 360 ღორი. ეს მაინც მხოლოდ საქმის დასაწყისი იყო. მშრომელებმა მეურნეობის ტექნიკაც სანადრო იჯარაში გააერთიანეს, ახლა მათ თავიანთი ტრაქტორი, სატვირთო და რძის საზიდი ავტომანქანები, სხვა სპეციალურ-სამეურნეო დანიშნულების მანქანა-იარაღები აქვთ.

მოიჯარეთა ბრიგადაში საქმის მცოდნე, გამრჯე ხალხია მოიყარა თავი. მწყემს-მწველავების გარდა ბრიგადაში ჰყავთ ელექტრიკოსი, ზეინკალ-მექანიკოსი, ძმელოლი-მექანიზატორი. ესენი სრული სამეურნეო დამოუკიდებლობით სარგებლობენ, თავად განსაზღვრავენ შრომისა და დასვენების რეჟიმს, წარმოების ტექნოლოგიას, საწარმოო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებებს.

ეს ორიოდე ციფრი, რომელიც აქაურ მეცხოველეთა შარშანდელი საქმიანობის შედეგს ასახავს: ფცელებმა საგეგმო 85-ის ნაცვლად 156 ტონა ხორცი მიჰყიდეს სახელმწიფოს, 430 ტონის ნაცვლად კი 444 ტონა რძე.

წლეულს მოიჯარეებმა 482 ტონა რძე უნდა დაამზადონ, ერთ ფურზე საშუალოდ 2472 კილოგრამი უნდა ჩამოწველონ. ხორცის დამზადების დავალება 60 ტონაა. დღეისათვის მეცხოველეობის ფერმამ 18 ტონა ხორცი მიჰყიდა სახელმწიფოს. მეურნეობის ეკონომიკური სამსახურის გაანგარიშებით ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება შარშანდელთან შედარებით წლეულს 11-13 პროცენტით შემცირდება.

საგრძნობლად გაიზრდება მოიჯარეთა თვიური გამოშშავება, ერთხელ და სამუდამოდ უკუაგდებენ გთანაბრებას პრინციპს დოვლათის განაწილებაში.

კიდევ ერთი შტრიხი, ურომლისოდაც სრული ვერ იქნება ფცელ მოიჯარეთა საქმიანობის სურათი. ახლა, როცა ბრიგადაში აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი, გადაწყვიტეს იჯარით დამატებით აიღონ კიდევ 360 ჰექტარი ფართობი. წლის ბოლოს სულ ცოტა 400 ტონა თივა, 1100 ტონა სილოსი, 370 ტონა სენაჟი დაამზადონ, რაც საბოლოო ჯამში კიდევ უფრო შეამცირებს წარმოებული მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულებას.

თქმა არ უნდა, იჯარის დანერგვა-დამკვიდრების ეს სავალი გზა უბრალო და იოლი როდია. ეს ძნელი საქმეა, თუნდაც იმითომ, რომ ადამიანთა შეგნებაში ფსიქოლოგიურ შემობრუნებასთან არის დაკავშირებული. ფცაში იჯარა ძნელად, მაგრამ მაინც მიიწევს წინ, მეურნეობრიობის ფართო გზაზე გადის.

და მაინც ურწმუნო თომებს რა გამოლევს ამ ქვეყნად!

— საით წავა მომავალში აგროფირმა, იჯარა, კოოპერატივი, „იქით“ ხომ არა, ამ საქმეს კაპიტალიზმის სუნი ხომ არ აუდის? — დაეკვეთით კითხულობენ მავანნი.

— არა, — მშვიდად უპასუხებს ურწმუნოებს მეურნეობის დირექტორი თამაზ თხელიძე, იღებს თაროდან თხელტანიან წიგნს, რომელსაც ყდაზე აწერია „კოოპერაციის შესახებ“ და ამბობს: აი, ეკითხოთ რჩევა ლენინს...

**ბურამ ვაშაკიძე,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**

# იჯარის ძნელად სავალი გზა

# გადაწყვეტის გზები ერთად უნდა გამოვნახოთ

(დასასრული)

ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივი დიდ პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება მის წინაშე დასახულ ამოცანებს. მაგრამ, თქვეს შრომის ვეტერანებმა, წარმოების მოწინავეებმა, გარდაქმნის რთული ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა, რომ დემოკრატიასა და საჯაროობას შეექმნას რეალური საფუძველი. არ შეიძლება დავუშვათ სიტუაცია, როცა წარმოებაში მომუშავე ადამიანები მშვიდად არ არიან თავიანთი ახლობლების გამო. აზრთა პლურალიზმი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს საყოველთაოდ მასალები პოზიციის გამომუშავებას. შესაძლებელია დიალოგის, ერთმანეთთან ურთიერთობის პირობებში. გარდაქმნა მთელი საბჭოთა ხალხის — მუშების, გლეხობის, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, პატიოსანი ნება, უკანასკნელი პერიოდის მონაპოვარია, და არავის არა აქვს უფლება ხელყოს იგი დაუსჯელად, როგორც ეს თბილისში მოხდა. მართალია, გულწრფელობა, გულახდილობა და პრინციპულობა საფუძვლად უნდა ედოს ყოველგვარ დიალოგს. მაშინ და მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი იმ დიდი მნიშვნელობის მიღწევა, რომელიც ჩვენმა საზოგადოებამ დაისახა.

**გ. გ. გუმბარიძეს თან ახლდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. დ. მახარაშვილი.**

## ხუთწლედის შრომითი რიტმი

**ხუთწლედის მეხუთე წლის მაისის ანგარიშში დაიწყო შრომა „ჭიათურმანგანუმის“ გაერთიანების დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს გვირაბგამყვანმა ვლადიმერ წიწილაშვილმა.**

**სურათზე: დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს მოწინავე გვირაბგამყვანი, სკკპ წევრობის კანდიდატი ვლადიმერ წიწილაშვილი.** (საქინფორმის ფოტო).

## ვუბრუნდებით დაგეგმილს

# მაცდუნებელი სურვილი თუ რეალობა?

**გაზეთ** „კომუნისტის“ 1989 წლის 13 იანვრის ნომერში დაიბეჭდა თევზის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის ქ. ქრისტესიაშვილის სტატია სათაურით „მაცდუნებელი სურვილი“.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ ეყრდნობა რეალურ ფაქტებს და შესაძლოა მკითხველს არასწორი წარმოდგენა შეუქმნას იმ პროცესებსა და მოვლენებზე, რაც ბოლო წლებში მოხდა საქართველოს თევზის მეურნეობაში. სტატიის ავტორი სწორ ანალიზს არ უკეთებს იმ მიზეზებს, რომელთა გამო „საქთევზმრეწვი“ გადახდისუუნარო საწარმოდ იქცა.

დღეს ბევრი იწერება საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე, მცდარად მიგვაჩნია აზრი რესპუბლიკაში საოკეანო თევზსაჭერი ფლოტის გაუქმების საჭიროებაზე. ისეთ ვითარებაში, როცა შავ ზღვაში წლითიწლობით კატასტროფულად კლებულობს სასურსათო პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო თევზის მარაგი, რაც დაკავშირებულია მის ეკოლოგიურ თუ სხვადასხვა ფაქტორებთან, საოკეანო თევზჭერის ფლოტის ყოლა არა მარტო პრესტიჟულია, არამედ რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესებიდანაც გამომდინარეობს. ავტორის მიერ დასმული საკითხი მართლაც მნიშვნელოვანია, იგი ეხება რესპუბლიკაში თევზის წარმოების განვითარებას, მოპოვებას და გადამუშავებას. ბუნებრივია, აქ ბევრი პრობლემა ჩნდება და საჭირო ღონისძიებანიც ხორციელდება მათ გადასაჭრელად. ავტორი ლაპარაკობს კიდევ ზოგიერთ მთგანზე, მაგრამ მისი აზრი მეთევზეთა კოლმეურნეობების რესპუბლიკური საბჭოს შექმნაზე არასწორად მიგვაჩნია.

წერილში ვკითხულობთ: რეორგანიზაციამდე ე. ი. ამ კავშირის შექმნამდე (1986 წლის დეკემბერი) მეთევზეთა კოლმეურნეობების საქმიანობას „კოორდინაციას უწევდა „საქთევზმრეწვის“. სამკაციანი განყოფილებაო. აქ ავტორი მხედველობიდან რჩება, რომ პარალელურად „საქთევზმრეწვის“ ყველა განყოფილება თუ სამსახური, თავის ფუნქციონალური მოვალეობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობდნენ კოლმეურნე მეთევზეთა 42 ერთეულისაგან შემდგარ თევზსაჭერ ფლოტს და საკოლმეურნეო საქმიანობას. როგორც წერილშია აღნიშნული, 1986 წელს, როცა ხელმძღვანელობაში მხოლოდ სამი კაცი იყო, კოლმეურნეობებმა ვეგმით გათვალისწინებული 16 მილიონი მანეთის ნაცვლად აწარმოეს 27 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, ხოლო 1987 წელს, როცა ხელმძღვანელთა რიცხვი გაიზარდა 22 კაცამდე, წარმოებულია მხოლოდ 18,5 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია. ავტორს დამნაშავედ დასახელებულ წლებში მეთევზეთა კოლმეურნეობების წარუმატებელი მუშაობა, მეთევზეთა კოლმეურნეობების რესპუბლიკური კავშირის „მრავალრიცხოვანი“ აპარატი მიაჩნია, რაც აბსურდია.

ცნობილია, რომ მეთევზეთა კოლმეურნეობების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის ერთიანი სისტემა შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე 1985 წლის სექტემბერში და არა სუბიექტური მოსაზრებებით.

მკითხველი უთუოდ დარწმუნდება, თუ რა სარგებლობა მოუტანა საქმეს ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილების რეალიზაციამ, მეთევზეთა კოლმეურნეობების კავშირის შექმნამ. მაგალითად, ლენინის რაიონის სოფელ გრიგოლეთის კოლმეურნეობა რესპუბლიკური კავშირის შექმნამდე ჩამორჩენილი, წამგებიანი კოლმეურნეობა იყო (ცნობისათვის: იმ დროს კოლმეურნეობაში მხოლოდ 65 წევრი იყო, დღეს კი იგი 352 წევრს ითვლის). გასულ წელს მან 3.9 მილიონი მანეთი მიიღო. მკითხველისათვის ცნობილია, რომ დღევანდელი კურსი მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება. კოლმეურნეობა „გურიამ“ სოფლის კეთილმოწყობისათვის, მისი სოციალურ-კულტურული საჭიროებისათვის 1988 წელს 600 ათას მანეთამდე გაიღო. ანალოგიური სურათია ხობის რაიონის სოფელ ყულევის კოლმეურნეობაშიც.

ხორციელდება სხვა ღონისძიებანიც, რომელიც წერილის ავტორს „მხედველობიდან“ გამორჩა. ქალაქ სოხუმში შეიქმნა დამხმარე მასალებისა და სახალხო მოხმარების სასაქონლო საწარმო, დამთავრდა საკოლმეურნეო გემთსარემონტო ქარხნის რეკონსტრუქცია, შეიქმნა სრულიად ახალი დარგი — გემთმშენებლობა. კოლმეურნეობების წილობრივი მონაწილეობით ქ. ფოთში შეიქმნა მძლავრი სასაწყობო მეურნეობა 2 მილიონი მანეთის საქონელბრუნვით. რესპუბლიკური კავშირის საქმიანობას ღრმად რომ ჩაწვდომოდა, ავტორი უთუოდ იმასაც შეამჩნევდა, რომ ამ კავშირის შექმნის შემდეგ მეთევზეობის საკოლმეურნეო სისტემა ორჯერ გაიზარდა, წარმოიშვა ახალი, რთული პრობლემები, საჭირო გახდა კოლმეურნეობათა საქმიანობის „ზურო“ კოორდინირების საიმედო მექანიზმი და, იხადია, „სამკაციანი აპარატი“ საქმეს თავს ვერ გაართმევდა. ასე რომ, გადაწყვეტილება მეთევზეთა კოლმეურნეობის რესპუბლიკური კავშირების შექმნის შესახებ შეცდომა არ ყოფილა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბალტიის-პირეთისა და ზოგიერთი სხვა რესპუბლიკის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ხელმძღვანელობის, მართვის ასეთმა მექანიზმმა სავსებით გაამართლა.

ქ. ქრისტესიაშვილს გვინდა შევახსენოთ, რომ სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯებს, აპარატის მუშაკთა რიცხოვნობას განსაზღვრავენ თვით კოლმეურნეობები და არავის არა აქვს უფლება, მათ თავს მოახვიოს თავისი სუბიექტური მოსაზრებანი. ამ სფეროში ეს დემოკრატიული პრინციპია და მისი შებღალვის უფლება არავის არა აქვს (კანონი კოოპერატივის შესახებ, მუხლ 39-ე).

ავტორი, თუ საკითხის ობიექტურად განხილვას მოისურვებდა, ერსონალის დასაქმებას და დამატებითი პროდუქციის გამოშვებას.

ამასთანავე, ეს ფაიფურის ნაკეთობა ზუგდიდურია? და როცა დადებით პასუხს მიიღებს, ნასიამოვნები ჩაიელაპარაკებს, მაშასადამე, კარგია! და სწორედ იმის თაობაზე, თუ როგორ მიაღწიეს ხარისხს გაუმჯობესებას და მომავლისათვის რა აქვთ დაგეგმილი ზუგდიდელ მეფაიფურეებს, ამის შესახებ გვექნება ლაპარაკი ამ წერილში.

...გასული წლის აგვისტოში გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა წერილი „ინებეთ ქართული ფაიფური“, რომელშიც ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ფაიფურის ქარხნის კოლექტივმა თავი დაალწია ქრონიკულ ჩამორჩენას, არსებობის 12 წლის მანძილზე პირველად მიიღო მოგება და უკან მოიტოვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით გამოწვეული სიძნელეები, გადალახა ფსიქოლოგიური ბარიერები.

შედარებით ასე მალე შეიძლება არც იყო აუცილებელი ისევ დავბრუნებოდით კოლექტივის საერთო ვალდებულების ზუსტ შესრულებას.

საამისოდ კოლექტივმა შეიმუშავა და თანამემდეგრულად ახორციელებს ღონისძიებათა პრაქტიკულ გეგმას, რომლის მთავარი მიზანია შრომის ნაყოფიერების ზრდა, მეტი მოგების მიღება და ფინანსური მდგომარეობის კიდევ უფრო გაჯანსაღება. სამეურნეო წლის დასაწყისიდან უკვე აითვისეს ოთხი სახეობის ახალი პროდუქციის წარმოება. სრულყოფენ ნაწარმის მოხატვა-მოჭიქურების უფრო თანამედროვე და ეფექტიან ვარიანტებს, საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი უბანი, რომელიც გამოუშვებს ფაიფურის მაღალმხატვრულ, სანიმუშო ნაკეთობებს.

კვეთრად შემცირდა სამმართველო აპარატის რაოდენობა და შენახვის ხარჯები. საგულისხმოა, რომ მწარმოებლური თუ არამწარმოებლური სფეროდან გამოთავისუფლებული არც ერთი მუშაკი ქარხნიდან არ წასულა, მათთვის გაიხსნა უბნები, ამოქმედდა ტექნოლოგიური ხაზები, რაც მთლიანად უზრუნველყოფს ამ პროდ., ეს ჩაჩვენებული 70 კაპიკამდე შემცირდა. ასევე საგრძნობლად არის შემცირებული ტექნოლოგიური ნარჩენების დაკარგებანი, პირველი და მეორე გამოწვეს, მოხატვისა და დაბარისხების ეტაპებზე. ამავე პერიოდში გამოშვებული ერთეული პროდუქციის 70 პროცენტი წინა კლასიანი ... ეს ... ... ...

**შარშანწინ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება, რომელიც 1989 წლიდან ქვეყნის დარგობრივ მეცნიერებათა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსების „პრინციპზე გადაყვანას ითვალისწინებს. ნებისმიერ დარგში რადიკალური რეფორმის განხორციელება ერთბაშად, რაღაც გამოცდილების გარეშე, მოგეხსენებათ, ძნელია. ამიტომ, რიგ ორგანიზაციებში შარშანდელი წელიწადი ერთგვარ მოსამზადებელ პერიოდად გამოიყენეს. ახე მაგალითად, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს სისტემის 41 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან თოთხმეტი შარშან ამ ახალი პრინციპით მუშაობდა. ამ ერთმა წელიწადმა ბევრი რამ გახადა ნათელი — დაგროვდა ერთგვარი გამოცდილება, რომელიც უნდა განზოგადდეს, გამოვლინდა სირთულეები, რასაც პრაქტიკული გამოსავალი უნდა მოეძებნოს.**

**იმ დანარჩენ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს შორის, რომლებიც წელს გადავიდნენ ახლებურად მუშაობის პრინციპზე, სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს სისტემის კავკასიის მინერალოგიური ნედლეულის ინსტიტუტიც არის. სანამ მის დირექტორს თამაზ ჯანელიძეს ვთხოვდეთ, გაზეთის მკითხველებს მოუთხროს ახლებურად მუშაობის უპირატესობაზე, მოვუსმინოთ სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს კოლეგიის წევრს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერების დოქტორს, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ ანანოლი კრიშტაფოვიჩს, რომელიც მუშაობის ძველებური და ახლებური მეთოდების შეჯერებით ნათლად გვიჩვენებს ამ პროგრესული სიახლის ეფექტურობას.**

# სამუშაო ახლა იწყება

— შარშანდელმა წელმა ბევრი რამ დაგვანახვა. უპირველესად შედეგები, ის კონკრეტული მონაცემები მაქვს მხედველობაში, რომელიც ახლებურად მუშაობით მივიღეთ.

ჩვენი მომავალი მეცნიერების და წარმოების ინტეგრაციაა, რომლის კონკრეტული ეფექტი რეალურად პირველად შარშან დავინახეთ.

**— განა აქამდე ცოტას ვლაპარაკობდით ინტეგრაციის პრობლემებზე?**

— საქმეც ეგ არის, რომ მხოლოდ ვლაპარაკობდით. მეტიც, ლოზუნგებსაც ვისროდით — ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებით, მომზადებული ინტონაციებით. რა ვამოდიოდა აქედან, დღის ეს სადღემო ალარავისთვის არის. დღეს მოქმედების დრო დადგა. მეცნიერებამ და წარმოებამ კონტაქტები უნდა დაამყაროს. ეს აუცილებელია, მათ ერთმანეთს იქით გზა არა აქვთ, ოღონდ მთავარია ეს კონტაქტები ორმხრივად ხელსაყრელი იყოს, მეცნიერებას აქვს რა გაყიდოს, წარმოებას უჩნდება შანსი იყიდოს საინტერესო იდეა, სიახლე, გამოიყენოს, მოიხმაროს. მეცნიერება კონკრეტულ უკუგებას მხოლოდ ასე მოგვცემს.

**— იმისათვის, რომ უფრო ნათელი შეიქნეს სიტყვანი, წარსულთან პარალელია საჭირო. განა ადრე არ ჰქონდა მეცნიერებას ეს იდეები? განა გასულ წლებში მეცნიერების და წარმოების ურთიერთობის ერთ-ერთი საკვანძო პრობლემა მეცნიერების მიღწევების პრაქტიკაში დანერგვა არ იყო?**

— საქმე სწორედ ეგ არის. წარმოება ხელფეხშებორკილი იყო. მას ლავირების საშუალება არ ჰქონდა. ის არავითარი სიახლის დანერგვით დაინტერესებული არ იყო, რადგან არაფრის გამო ზედმეტი დატვირთვა არავის სურს. ვინ გაიჯერებს ზედმეტად, როდესაც იცის, რომ მის განსაკუთრებულ თავის გამოდებას, არც მისთვის და არც მისი კოლექტივისთვის, სასარგებლო არაფერი მოყვება.

ახლა ასე ალარ არის. „ანნმა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ კოლექტივებს დიდძალი უფლებები მისცა. ისინი თავად უნდა იქცნენ საკუთარი თავის პატრონებად, როდესაც ყოველი ზედმეტი გამომუშავებული მანეთი საკუთარ კეთილდღეობას ხმარდება, ისინი უთუოდ დაინტერესდებიან იმ სიახლეებით, რომლებსაც მათ კონკრეტული უკუგება შეიძლება მისცეს. იდეათა სამჭედლო კი მეცნიერებაა. ახლა, როდესაც ამ სფეროშიც საბოლოო შედეგი უშუალოდ დაუკავშირდა შესასრულებელ სამქმეს, პრაქტიკოსებს სიახლეები ასარჩევად ექნებათ. უკვე შარშან, ერთ წელიწადში, ამ თოთხმეტ საწარმოში, რომლებშიც თვითდაფინანსების პრინციპით მუშაობდნენ, ორჯერ მეტი სამუშაო შესრულდა საკუთარი ძალებით.

**— ორჯერ მეტი იმუშავა, ესე იგი ალბათ ორჯერ მეტი გასამრჯელო მიიღო ამ თუ იმ მუშაკმა.**

— რასაკვირველია. მეცნიერთა ხელფასი 30 პროცენტით გაიზარდა ამ ინსტიტუტებში. პირველ რიგში დაბალხელფასიან კოტინენტურ — ლაბორანტებს, ტექნიკოსებს გაუზარდეს. გამომუშავება, შემდეგ — უფროს სპეციალისტებსაც.

**— საიდან მოიტანეს ეს ზედმეტი თანხა?**

— თავად გამომიმუშავეს. აქ ერთ რამეს მინდა ხაზი გავუსვა. ამ დროს, როდესაც კოლეგიტივში (ამ შემთხვევაში სამეცნიერო დაწესებულება მაქვს მხედველობაში) გამომუშავებული თანხა იზრდება, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ხელფასის განაწილების სისტემის ორგანიზაციას. გათანაბრების პრინციპი უკვე მიუღებელია. ყველას ზუსტად შესრულებული სამუშაოს მოცულობის და ხარისხის მიხედვით უნდა აუნაზღაურდეს შრომა. ამასთან მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობა.

ასე მუშაობის პირობებში ორგანიზაციას რჩება სახსრები, რითაც შეუძლია შეიქმნას საკუთარი ფონდები — სოციალური განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის. ისე რომ, მათ უჩნდებათ სამუშაოება თავად უზრუნველყონ საკუთარი კეთილდღეობა და სახელმწიფოს კმაყოფაზე აღარ იყვნენ.

**— საქმისადმი ამგვარი მიდგომით უამრავი თამამი გადაწყვეტილება წარმოიშვება. ჩვენ ხშირად არც ცოდნა და გამოცდილება აკლია, არც ფანტაზია. მჯერა, ისინი შეძლებენ საკუთარი კეთილდღეობის უზრუნველყოფას.**

— ეს უკვე პრაქტიკულად გამოჩნდა შარშან. ასეთ მაგალითს მოგიტანთ: ზოგიერთ კოლექტივში დაუგროვდათ შესაძლებლობა, რომ პენსიაზე გასასვლელ ადამიანს 400-500 მანეთი დაუნიშნონ. ზოგან სხვაგვარი მეთოდი იხმარეს — პენსიაზე გასვლის წინ ერთდროულად ორი ათასამდე მანეთით აჯილდოვებენ ღვაწლმოსილ მუშაკს, მე ამ ღონისძიების ორ მხარეს ვხედავ, ორსავე დადებითს: ჯერ ერთი ის, რომ თავისთავად დიდი პენსია ან ერთდროული ჯილდო ჰუმანური აქციაა, მეორეც, იგი პენსიაზე გასვლის გადაწყვეტილებაში კატალიზატორის როლს შეასრულებს, რითაც ახალგაზრდობას შრომის პროცესში ადრიდანვე ჩაბმის საშუალება მიეცემა. ამას კი უკუგება ექნება. იმაზე, რომ ახალ პირობებში მომუშავე ინსტიტუტებს რამდენადმე უკვე გაუუჭირდათ მატერიალური კეთილდღეობა, მეტყველებს ის ფაქტი, რომ სომხეთში მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარების ფონდში კოლექტივებმა მილიონ მანეთზე მეტი გადარიცხეს, ხოლო პირადი სახსრებიდან მუშაკებმა — 250 ათასი მანეთი.

ახლებურად მუშაობა ჩვენი საქმიანობის თითქმის ყველა მხარეს ეხება. თუნდაც საგამომცემლო საქმე აციოდთ. იმ წიგნების გამოცემისათვის, რომლებითაც დაინტერესებულია მთლიანად დარგი, ქვეყანა, სახსრებს სამინისტრო გაიღებს, ხოლო თუ იგი ამა თუ იმ ინსტიტუტის ინტერესების სფეროს არ სცილდება, კეთილი ინებოს და გამოცემის ხარჯები თავად ინსტიტუტებმა იღონ თავს. იგივე ხდება ასპირანტთა მომზადებაშიც.

**— ალბათ გაიზრდება შრომითი კოლექტივების საბჭოს როლი.**

— უთუოდ. მაგრამ მთავარია მათ ზუსტად მოხაზონ თავიანთი ფუნქციები და არ დაწვრილმანდნენ. პრაქტიკულად მათ ძირითადად შემოსავლის განაწილების პრინციპი უნდა შეიმუშაონ და დაიცვან, აქედან გამომდინარე კონკრეტულად ვის რა ეკუთვნის, უკვე ოღონ გადასაწყვეტი იქნება.

**— ახალ პირობებში მუშაობამ მეცნიერებს უცნოეთის ფირმებთან კონტაქტების საშუალება მისცა ალბათ.**

— რასაკვირველია. ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. უპირველესად ჩვენი იდეის თუ პროდუქციის, თუ შეიძლება ასე ითქვას, წარდგენა, წარმოჩენა საერთაშორისო ბაზარზე. რეკლამაზეც უნდა ვიფიქროთ. ერთი სიტყვით, სამუშაო მხოლოდ იწყება, წინ ვრცელი პერსპექტივებია.

**როდესაც** საერთოდ დარგის პრობლემებზეა საუბარი, ყველაფერი მეტ-ნაკლებად ცალკეულ რეგიონსაც ეხება. ზემოთქმული ძირითადად კავკასიის მინერალოგიური ნედლეულის ინსტიტუტს და მის წინაშე მდგომ ამოცანებსაც ეხება. უფრო კონკრეტულად კი ინსტიტუტის დირექტორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერების დოქტორი **თამაზ ჯანელიძე** გვესაუბრება:

— ამ წლიდან ყოველგვარ სამუშაოს ვასრულებთ ხელშეკრულებით, რომლებიც იდება გეოლოგიის სამინისტროს ადგომბრივ სამმართველოებთან — (სამეცნიერო-ტექნიკური, რეგიონული გეოლოგიის, მყარი წიაღისეულის, საგეგმო-ეკონომიკური და სხვ.). აგრეთვე კავკასიის საწარმოო გეოლოგიურ გაერთიანებებთან, გარდა ამისა სხვა სისტემებთან და უწყებებთან, რომელთაც ჩვენი სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია აინტერესებთ, ასეთებია, მაგალითად, საქაგრომრეწვი, სახალხო დეპუტატთა ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი და სხვ. ხელშეკრულების დადების დროს სამუშაოთა პროგრამის გარდა განისაზღვრება აგრეთვე სახელშეკრულებო თანხა, ანუ თანხა, რომელიც ორივე მხარეს — დამკვეთსაც და შემსრულებელსაც ხელს აძლევს.

სამუშაოთა ასეთი ორგანიზაციისას ძირითად შემსრულებელ რგოლად მკვლევარების სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ჯგუფი გვეკლინება, რომელსაც აქვს თავისი კონკრეტული საქმე და გარკვეული თანხა. იგი უფლებამოსილია შეამციროს შემსრულებელთა რიცხვი; მაშინ დარჩენილ მუშაკებს მოუწევთ მეტი მუშაობა და, რასაკვირველია, მეტი გასამრჯელოს მიღებაც. ჯგუფს შეუძლია აგრეთვე გააუმჯობესოს მუშაობის მეთოდიკა და ნაკლები შრომითი დანახარჯებით მიაღწიოს მეტ ეფექტს. ამ გზით დაგროვილ თანხებს ამ შემთხვევაშიც წახალისების ფორმით შემსრულებლები მიიღებენ.

თუ სამეურნეო ჯგუფს არა ჰყავს ესა თუ ის სპეციალისტი, მას შეუძლია მოიწვიოს იგი საიდანაც უნდა, გადაუხადოს სათანადო თანხა და გამოიყენოს მიზნობრივად. არის კიდევ სხვა თვისებურებები, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

**— როგორც ვხედავთ, მთავარია ის, რომ სამეცნიერო-სამეურნეო ჯგუფს აქვს ეშმარიტი ავტონომია და არა მხოლოდ სიტყვიერი. აქვს თუ არა ჯგუფს, მაგალითად, იმის უფლება, რომ დამატებითი სამუშაო იშოვოს და ამით ზედმეტი თანხა გამოიმუშაოს? ესე იგი გამომუშავების სახლვრები შეზღუდული არის თუ არა?**

— სრულიად თავისუფლად. იმუშაონ რამდენიც უნდა, ოღონდ ხარისხიანად, ამას მინდა გავუსვა ხაზი: ასეთ პირობებში საქმიანობის დროს ძალზე მნიშვნელოვანი ხდება სამუშაოთა შესრულების ხარისხი, მისი მეცნიერული დონე, პრაქტიკული თუ თეორიული მნიშვნელობა. სწორედ ამიტომ სამუშაოს მიიღებს სპეციალური კომისიები, რომელთა შემადგენლობაში იქნებიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. ბუნებრივია, მეტი გასამრჯელო უნდა მიიღოს მან, ვინც კარგად მუშაობს, ზარაკები ან დაბალკვალიფიციური შემსრულებლები კი შეიძლება საერთოდ უხელფასოდაც კი დარჩნენ. სამშრომელო ჯგუფი საჯაროდ იხილავს ყოველი თანამშრომელის მონაწილეობის დონეს. სამუშაო შემუშავებული და დადგენილი წესის მიხედვით ფასდება. განისაზღვრება ეგრეთწოდებული შრომითი და შემოქმედებითი მონაწილეობის კოეფიციენტი.

**— ეს უველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ ყველა დიდი სიხარულით შეხვდა ამ სიახლეს. წლების მანძილზე ინერტულობას მიჩვეული კაცის ერთბაშად გამოფხიზლება ეგრე იოლია განა?**

— სწორედ ასეა. მოწინააღმდეგეები თითზე დასათვლელნი არ არიან. ეს წესები ხელს აძლევს მხოლოდ მათ, ვისაც მუშაობა უყვარს და კვალიფიკაციაც აქვს.

ყველაფერი ეს მხოლოდ დასაწყისია — ჩვენ საწყის ეტაპზე ვართ. ბევრი რამ უნდა დაიხვეწოს, გაუმჯობესდეს; საქმე თვითონ გვასწავლის თანდათანობით. მთავარი ის არის, რომ საქმე მკვდარი წერტილიდან დაძრულია.

**გალინა ხარებაშვილი.**



# წინსვლის ნაცვლად დაკნინება

**აბასთუმანი** გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში უკვე იწოდებოდა სამეფო კურორტად. ჩვენი საუკუნის დამდეგს ეს კურორტი ცხოვრობდა იმ პერიოდისათვის შესატყვისი კულტურით, გამოირჩეოდა კეთილმოწყობითა და სიმშვენიერით. იმ დროის ნაგებია „ახალ ზარზმად“ წოდებული ეკლესია, რომელიც ცნობილ რუს მხატვარს მიხეილ ნესტეროვს მოუხატავს. წყალსადენი, განთქმული აბანო და საცურაო აუზი ამენებულია ჰიპერთერმულ წყაროებზე, რომლებიც დღესაც მოქმედებენ და არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა.

მთის სუფთა ჰაერი, მზის ნათების დიდი ხანგრძლივობა (3 ათასი საათი წელიწადში) ტუბერკულოზის მკურნალობის უმთავრესი ფაქტორებია და სწორედ ამ კომპონენტთა გამო საყოველთაოდაა ცნობილი აბასთუმნის მნიშვნელობა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ვინ და საიდან არ მოდიან ამ საოცარ კურორტზე, — ჩუკოტკელი თუ მოსკოველი, ლვადივოსტოკელი თუ კამჩატკელი, ლენინგრადელი თუ ომსკელი, თბილისელი თუ ერევნელი — და შრომისუნარაღდგენილნი უბრუნდებიან შობლიურ მხარეს. ამიტომ აბასთუმნის პრობლემები მარტო რაიონული კი არა, საერთო-რესპუბლიკურიც არის, და სამწუხაროა, რომ ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე საკურორტო მეურნეობის ბევრი არსებითი მხარისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომა გახდა იმის მიზეზი, რომ აბასთუმანმა ვერ შეინარჩუნა თავისი სახე, ყოფა და კულტურა. წინსვლის ნაცვლად ყველაფერი უკან წავიდა — კურორტი თითქოს დაკნინდა, პროვინციულ დაბად იქცა, სადაც პარასკევიდან ორშაბათამდე საფოსტო გზავნილებსაც კი ძნელად იღებენ; გართულებულია სატელეფონო კავშირი, ხოლო ქუჩები და ცნობილი „ალვის ხეების ხეივანი“ პირუტყვის სასეირნო ადგილებად იქცა.

იმის გამო, რომ საშველი არ დაადგა გათბობის ცენტრალური წყლების საწმენდი ნაგებობა, რის შედეგადაც ბაქტერიოლოგიურად ბინძურდება მდინარე ოცხე, რომელსაც მის და მდინარე ფოცხოვის ხეობაში განლაგებული სოფლების მოსახლეობა იყენებს ბოსტან-ბაღების სარწყავად და მოწეულ ბოსტნეულს ყიდის რესპუბლიკის ბაზრებში, რასაც ადვილი წარმოსადგენია რა შედეგიც შეიძლება მოჰყვეს, თუ აქამდე არაფერია ამ მხრივ დაზარალებული.

# ბარ იყო ფონი ცეცხლში...

**მუოგლიური** შავი ზღვის სანაპიროდან მრავალი კილომეტრის დაშორებით, ნორვეგიის ზღვაში ცეცხლს შეეკრნა აფხაზეთის მკვიდრი ნოდარ ბუხნიკაშვილი. ადამიანების გადარჩენისათვის გაუსწორა სიკვდილს თვალი სამხედრო მეზღვაურმა და დაიღუპა.

... წყალქვეშა ნავი მცირე სიღრმეზე იყო, როცა საავარიო განგაშის სიგნალი გაისმა. გემის წესდება მოითხოვს, რომ ამ შემთხვევაში ყველა თავის სამუშაო ადგილზე იყოს. და კიდევ, ხანძრის შემთხვევაში ნაკვეთური უნდა ამოიქროლოს, რომ ცეცხლი არ მოედოს მეზობელ ნაკვეთურს, შემდეგ კი უნდა ჩააქრონ ცეცხლი. ასე მოიქცა წყალქვეშა ნავის კოჭკავშირის კომიტეტის წევრი, უფროსი მატროსი ნოდარ ბუხნიკაშვილი. სწორედ მის ნაკვეთურში მოკლე ჩართვის შედეგად ცეცხლი მოედო მავთულს. მან არ იცოდა, რომ ოგივე მომხდარა კიდევ რამდენიმე ნაკვეთურში, ისე დაიწყო თავისი ნაკვეთურის ამოქოლვა და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ებრძოდა ცეცხლს... ოცდასამი მეზღვაური, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ წყალქვეშა გემის გადასარჩენად, ოღვამ შთანთქა. მათ შორის — ნოდარ ბუხნიკაშვილი.

უბედურება დაატყდა სოფელ წალკოტს, რომელიც გაგრის ახლოს სოფელ ხეივნის განაპირას მთის ძირში შეუჟეჟული. შორეულ ზღვაში დატრიალებული ტრაგედია სამუდამოდ შევიდა ნაზი და ოთარ ბუხნიკაშვილების ცხოვრებაში. არადა, ჯერ კიდევ გუშინ ისინი უმცროს ვაჟთან შეხვედრის გეგმებს ადგენდნენ, რომელსაც ფლოტში სამსახურის ვადა სადაცაა დაუმთავრდებოდა. ფიქრობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად მოეთავებინათ სახლის რემონტი, გაელამაზებინათ ეზო. ნახევარი წელი შეუმჩნევლად გავლის და შემდეგ იქნებ ქორწილისთვის სამზადისმაც მოგვწიოს, გასათხოვარი ქალიშვილი სოფელში საკმაოდ არისო. შეიძლება ნოდარმა ჩრდილოელი რძალიც მოგვიყვანოს, მათ საოჯახო ალბომში ხომ ქერათმიანი ქალიშვილის ფოტოსურათიცაა. მართალია, ვინ არის იგი, რომელი მხარის შვილია, არც ნაზიმ და არც ოთარმა არ იციან, გარეგნულად კი მოსწონთ, სახელიც კეთილსმოვანი აქვს — ბელა...

მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად დატრიალდა. დღეს ოჯახში დიდი ხნით დაისადგურა უბედურებამ. იცის ნაზი ბუხნიკაშვილმა, რომ მისი ვაჟი არ შეძრკალა განსაცდელის ჟამს და არ მიუტოვებია საბრძოლო პოსტი, რომ დანარჩენ დაღუპულ მეზღვაურებთან ერთად მასაც მიაგეს უკანასკნელი მხედრული პატივი.

ახლა ამ ყველაზე ძვირფას საოჯახო რელიკვიას ამშვენებს უფროსი მატროსის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარჩინებულის საპატიო ნიშნები, შორეული ლაშქრობისთვის რომ დაუმსახურებია. იმას, თუ როგორ მსახურობდა ჩრდილოეთის წითელდროშოვანი ფლოტის მატროსი, მოწმობს მადლობის წერილი, რომელსაც ხელს აწერს წყალქვეშა ნავის მეთაური, პირველი რანგის კაპიტანი, ნოდართან ერთად დაღუპული ე. ვანინი.

„ჩვენ უდიდეს მადლობას გიხდით ვაჟის აღზრდისათვის, — წერს ოფიცერი.—იგი ჩვენი სამშობლოს ჩრდილოეთი საზღვრების სიამეღო დამცველია, კეთილსინდისიერად, პატიოსნად მსახურობს. ბევრი წახალისება აქვს ქვეგანაყოფისა და გემის მეთაურებისაგან. არჩეულია გემის კომკავშირის კომიტეტის წევრად. კმაყოფილი ვართ მისი სამსახურით, დისციპლინითა და შემსრულებლობით. იგი იცავს ჩრდილოეთის ზღვის ფლოტის წყალქვეშანაველი მეზღვაურის ღირსებას!“.

წერილთან ერთად არის უფროსი მატროსის ნ. ბუხნიკაშვილის საპატიო სიგელები, რომლებიც მას მიენიჭა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 70 წლისთავისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის.

— ერთნაირად მიყვარს სწავლაც და მუშაობაც, — სწერდა ნოდარი დეიდას — მერი ბარბაქაძეს თბილისში, სადაც იგი ცხოვრობს და მუშობს. — ასე რომ, მირჩევ რა ვქნა. ხომ არ შევიდე სამხედრო-საინჟინრო სასწავლებელში, როგორც მირჩევს წყალქვეშა ნავის მეთაური?

— ვურჩევ სასწავლებელში შესულიყო, — თქვა თვალცრემლიანმა მერი ბარბაქაძემ, მაგრამ ამ წერილის მიღება აღარ ეწერა....

— ოქროს ხელი ჰქონდა, — იხსენებს მეზობელი ზაურ მინდაძე, — ყველაფერი ემარჯვებოდა, ხუროც იყო, დურგალიც, ყველანაირ ელექტრომანქანას ააწყობდა. შარშან მაისში შვებულებით რომ ჩამოვიდა, ერთი წუთითაც არ მოუსვენია, ხან ბაღში მუშობდა, ხან ბოსტანში. ჩვენ, მეზობლებსაც ხალისით გვეხმარებოდა.

ნოდარს ყველა უყვარდა და ისიც ყველას უყვარდა. ამიტომ დღეს ბუხნიკაშვილების სახლში უწყვეტ ნაკადად მიედინებიან, ოთხრა სამძიმარი უთხრან მეზღვაურის მშობლებსა და ახლობლებს, გაიზიარონ მათი დიდი უბედურება. ყველა ერთად კითხულობს დეპეშას, რომელიც გამგზავნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გ. გუმბარიძემ.

„დიდად დამამწუხრა თქვენი შვილის ტრაგიკულად დაღუპვამ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს, მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელების გულში მარად დარჩება ნოდარ ბუხნიკაშვილისა და მისი მებრძოლი ამხანაგების ხსოვნა, რომელთა ცხოვრება და გმირული სიკვდილი ეგზემპლარი პატრიოტიზმისა და მაღალი მოქალაქეობრიობის მაგალითია. მიიღეთ ჩემი გულწრფელი სამძიმარი“.

მთელი შემადგენლობით მოვიდნენ აქ გაგრის საქალაქო სამხედრო კომისარიატის ოფიცრები. მათთან ერთად არიან აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სამხედრო კომისარი, „ავღანელი“ ოფიცრები— მაიორი ოლეგ გრიგორიანი და კაპიტანი ვალტერ ბებია. ეს მათ იზრუნეს კეთილმოწყოთ გზა სახლისაკენ, გამოჰყვეს ავტომანქანა.

სამგლოვიარო ცერემონიის დღეს სოფელში ჩამოვა მესაზღვრეთა საპატიო ყარაული. გმირულად დაღუპულ უფროს მატროსთან ნ. ბუხნიკაშვილთან გამოთხოვების წუთს იგი აღნიშნავს სამხედრო სალუტის სამი ზალპით. სოფლის კომუნისტებისა და კომკავშირელების ინიციატივით კი ნოდარის სახელი დაეარქმევა ხეივნის ერთერთ ქუჩას და იმ სკოლის პიონერულ რაზმს, რომელშიც იგი სწავლობდა.

(საქინფორმი).

ულუსოფიში საკადესი ეუწყება 20 აპრილი

# სამართლიანი ურთიერთობის [illegible]

**ლიმა.** კუბაში ვიზიტის დროს **მ. ს. გორბაჩოვის მიერ წამოყენებული წინადადებანი მიზნად ისახავს სამართლიანი საერთაშორისო ურთიერთობის დამყარებას და მშვიდობის განმტკიცებას როგორც ლათინურ ამერიკაში, ისე მთელ მსოფლიოში, განაცხადა პერუს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, შინაგან საქმეთა მინისტრმა არმანდო ვილიანუევა დელ კამპომ.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლათინური ამერიკის უბირთვო სტატუსის განმტკიცება, რომლის საკიროებაზე მიუთითა ჰავანაში საბჭოთა ხელმძღვანელმა, საარსებო მნიშვნელობის ამოცანაა რეგიონის ხალხებისა და მთელი კაცობრობისათვის.

ა. ვილიანუევამ მაღალი შეფასება მისცა მ. ს. გორბაჩოვის იმ განცხადებას, რომ ცენტრალურ ამერიკაში სამხედრო მოწოდებანი უნდა შეწყდეს, და თქვა, რომ ამ მიზნის მიღწევა ხელს შეუწყობს რეგიონალური კონფლიქტის პოლიტიკურ მოწესრიგებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით საგარეო ვალის პრობლემაზე ფართო საერთაშორისო ფორუმის მოწყობა, აღნიშნა პერუს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ ამ რთული პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული გზები. სახელმწიფოთა შორის სამართლიანი სავაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და დემოკრატიის განმტკიცებას.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, შენიშნა ა. ვილიანუევამ, მ. ს. გორბაჩოვის განცხადებამ რეგიონალიზაციისა და კონტრრევოლუციის ექსპორტის დაუშვებლობის შესახებ.

ხაკირიმა, ჯონ ბარტლეტ — საგარეო კავშირმა, არამედ შეერთებულმა შტატებმაც, ყველა დიდმა სახელმწიფომ შეიტანონ თავიანთი წვლილი მშვიდობის განმტკიცების საქმეში, თქვა პერუს მთავრობის მეთაურმა.

საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმზიდველი ძალა აღნიშნა პერუს საგარეო საქმეთა მინისტრმა გილიერმო ლარკო კოკმა. მ. ს. გორბაჩოვის საგარეო-პოლიტიკური ინიციატივები, თქვა მან, მტკიცე მშვიდობის მიღწევის გზაა. საბჭოთა კავშირის მისწრაფებას საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისადმი ამტკიცებს მისი ისეთი კონკრეტული ნაბიჯები, როგორიც არის საბჭოთა ჯარების გამოყვანა ავღანეთიდან და მის მიერ შეიარაღებული ძალების ცალმხრივი წესით შემცირება, ხაზი გაუსვა საგარეო საქმეთა მინისტრმა.

● აშშ

# პრეზიდენტის მიმართვა

**ვაშინგტონი.** **პრეზიდენტი ბუში გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სამშენებლო მრეწველობის მუშათა უდიდესი გაერთიანებების ხელმძღვანელთა წინაშე, რომლებიც შეიკრიბნენ თავიანთ ეროვნულ ყრილობაზე ვაშინგტონში.**

ეს გამოსვლა იყო 41-ე პრეზიდენტის პირველი პირდაპირი მიმართვა პროფკავშირთა წევრებისადმი. თეთრი სახლის პატრონმა ყრილობის 3 ათას დელეგატს გაუცხადა, რომ მას „სურს იმუშაოს მათთან ერთად“ და „იქნიოს მათი მხარდაჭერის იმედი“. ბუში პროფკავშირებს დაპირდა შრომითი ურთიერთობის ეროვნული საბჭოს — შრომითის კოლეგიტივეგიბში არბიტრაჟის ფედერალური რეგიონალური კოფლიქტის პოლიტიკურ მოწესრიგებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით საგარეო ვალის პრობლემაზე ფართო საერთაშორისო ფორუმის მოწყობა, აღნიშნა პერუს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ ამ რთული პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული გზები. სახელმწიფოთა შორის სამართლიანი საგაჭრო-ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და დემოკრატიის განმტკიცებას.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, შენიშნა ა. ვილიანუევამ, მ. ს. გორბაჩოვის განცხადებამ რეგიოლუციისა და კონტრრევოლუციის ექსპორტის დაუშვებლობის შესახებ.

**ტელეტაიპის ლენტიდან**

**ვადრიდი.** **წინააღმდეგობის მებრძოლთა საერთაშორისო ფედერაციის ბიუროს აქ მუშაობა დაამთავრა მოწოდებით ეროვნული გაერთიანებისათვის, რათა სხვა მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად შეტანონ წვლილი ევროპის მშვიდობის განმტკიცებასა და განიარაღების პროცესის დაჩქარებაში.** მის მუშაობაში მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის დელეგაცია საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. პ. მარესიევის მეთაურობით.

● **პარიზი.** **ლიბანში შექმნილი ვითარებისა და ამ ქვეყანაში დაწყებული კონფლიქტის შეწყვეტისათვის მიმართული საფრანგეთის მოქმედების საკითხი იყო ძირითადი, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქში გამართულ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განხილეს.** საფრანგეთის პრეზიდენტმა მიტერანმა სხდომაზე განაცხადა, რომ საფრანგეთი აპირებს „უახლოეს დღეებში“ განაგრძოს დიპლომატიური აქციები ლიბანის პრობლემის მოწესრიგების მიზნით.

● **ბაბუტუ.** **მსოფლიოს მეტწილ ქვეყნებში თითის ანაბეჭდებს ულებენ დანაშაულში ეჭვმიტანილ ადამიანებს. სამხრეთ აფრიკის პოლიციამ, როგორც ჩანს, ეჭვმიტანილთა თანრიგში შეიყვანა ყველა თანამემამულე.** მხოლოდ ასე შეიძლება აიხსნას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომ გასული წლის დამლევს პოლიციის კარტოთეკებში შეიგროვეს თითის 20 მილიონზე მეტი ანაბეჭდი.

● **ინგლისი**

# ჟურნალისტებს-მეტი უფლება

**ლონდონი.** **„ვიუწყებით რეალობებს: რას ნიშნავს ჰელსინკის საბოლოო აქტი პრაქტიკოსი ჟურნალისტებისათვის“ — ბრიტანეთის პარლამენტის შენობაში ასეთი დევიზით გაიმართა არაოფიციალური კრება, რომელშიც მონაწილეობდნენ ჟურნალისტები, ლონდონში მიმდინარე საერთაშორისო საინფორმაციო ფორუმის მუშაობას რომ აშუქებენ, აგრეთვე ამ ფორუმის მთელი რიგი დელეგატები.**

ყველა ორატორმა აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა ქვეყნების ჟურნალისტთა შეკავშირებულ მოქმედებას მათ მუშაობაში იმ გაუმართლებელი ბიუროკრატიული დაბრკოლებების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც დღემდე არსებობს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. კერძოდ, გამოითქვა რწმენა, რომ საჭიროა მიაღწიონ, რომ ჟურნალისტებს ჰქონდეთ უფლება თავისუფლად იმოგზაურონ ყველა ქვეყანაში.

**შემთხვევა**

# აფეთქება „აიოვაზე“

**ვაშინგტონი.** **სულ ცოტა 47 მეზღვაური დაიღუპა ოთხშაბათს ამერიკის სახაზო გემის „აიოვას“ აფეთქების შედეგად, იუწყება პენტაგონის წარმომადგენელი.**

აფეთქება მოხდა სამი 16-დიუმიანი იარაღის ნომერ ორ კოშკში. აფეთქების მიზეზებს იკვლევენ. მიმდინარეობს საავარიო სამუშაოები. საბრძოლო წვრთნაში მონაწილე სახაზო გემი აფეთქების მომენტში იმყოფებოდა პუერტო-რიკოს ნაპირებიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 330 სიზღვაო მილზე. ამჟამად სახაზო გემიდან ავიამზიდ „კორალ სიზე“ დაბანაკებული ვერტმფრინავებით გადაიყვანეს მედიკოსთა 

ღუმილი გახდა ვიწრო. გაღია...

# სიმართლე სინათლეა

**ჯერ** არ დამდგარა ქამი განკითხვისა, ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული 9 აპრილის ტრაგიკული ამბები. კითხვა ბევრია, საზოგადოებრიობა ზუსტ და უტყუარ განაჩენს ელის. უნდა დათრგუნოს სიცრუე და ორპირობა, სიმართლის ხელყოფა ახალი დანაშაულია. მიაქცევდით **უფრადღებას:** შეუფაცხყოფილ **ადამიანთა ჩვეულებრივ** აივსო ქარიუკი პრესა, ტელევადაცემები. ხალხი უარყოფს: „მე არ მითქვამს, **მე** არ **დამწერია;** ასე არ მითქვამს, ასე არ დამიწერია!“ დიდი გასაქანი აქვს საეჭვო პუბლიკაციებს. აგერ, ჩვენთან, ჩვენს თვალწინ გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ ბოლო ნომრებში იბეჭდება სიცრუე... სიმართლის სახელით. მაგრამ სიცრუესაც საზღვარი აქვს. კაპიტან ვ. დრობოტის (ამ გაზეთის კორესპონდენტის) ფანტაზიამ ყველა ზღვარი გადაალახა. ნახეთ 16 აპრილის ნომერი, მესამე გვერდზე დაბეჭდილი „სიმართლე სიცრუის წინააღმდეგ“ (!).

ნუ დაუჯერებთ ავტორს. ის არაფერს არ უწევს ანგარიშს. არც 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის სიმძიმეს და არც იმას, რომ ამ ტრაგედიას ათი ათასი მოწმე ჰყავს და შუბი ხალთაში ვერ დაიმალება. ერთი მოწმე მეც ვარ, იმ საბედისწერო წუთების თვითმხილველი. ამიტომაც ვაძლევ თავს უფლებას, კატეგორიულად განვაცხადო: ვ. დრობოტა ცრუობს! ცრუობს საკუთარი და ჯარისკაცთა პირით. რეპორტაჟი თვითმხილველთა ჩვენებაზეა აგებული, ავტორი ეფრეიტორ ალექსანდრე ვინოგრადოვს ათქმევინებს: „როცა მთავრობის სახლს მივუახლოვდით, ვნახეთ, სამასამდე კაცი ჩამოჯდარაყო კიბის საფეხურებზე, ადგომა არ მოისურვეს. ჩვენმა ოფიცრებმა რამდენჯერმე სთხოვეს დაშლილიყვნენ, მაგრამ თხოვნა ყურად არ იღეს. მაშინ ჩვენ დავიწყეთ მათი თითო-თითოდ აყენება და ნელ-ნელა წინ მივიწევდით. აკ, სწორედ მაშინ დაგვიშინეს ბრბომ, აგრეთვე ფანჯრებიდან, სახურავებიდან ცარიელი ბოთლები, ქვები, გრძელი ფიცრები, ალბათ, მერხებად რომ იყენებდნენ. სხვათა შორის, უკან მოგვყვებოდნენ სასწრაფო დახმარების მანქანები. ვერც ისინი გადარჩნენ — გამძვინვარებულნი ურტყამდნენ ამ მანქანებს“.

დააკვირდით: ყველაფერი ეს მთავრობის სასახლის წინ ხდება. აქ ნახსენები ფანჯრები და სახურავიც ამ სასახლისა უნდა იყოს. ე. ი. ვიდრე დამსჯელი რაზმი მოვიდოდა, დემონსტრანტებს მთავრობის სასახლის აღება მოუსწრიათ (?!). როგორც ჩანს, ვ. დრობოტმა არ იცის, რომ იმ კიბეზე მომომშილნენი ისხდნენ. მით უმეტეს, ეს არ იცოდა ეფრეიტორმა ვინოგრადოვმა, მაგრამ ეს უთუოდ უნდა სცოდნოდათ იმათ, ვინც ამ ბარბაროსულ ოპერაციას ამზადებდა. ჩემი თვალით ვნახე: ძალგამოცლილთ და მისავათებულთ უმოწყალოდ დაუშინეს ხელკეტები. მოშიმშილენი არ დაინდეს და დანარჩენებს რას უზამდნენ! ვ. დრობოტი ცდილობს მომიტინგეები ბარბაროსებად წარმოგვიდგინოს, ხელკეტებითა და ორლესული ნიჩბებით შეიარაღებული, საგანგებოდ გაწვრთნილი ჯარისკაცები კი ქეთილშობილ რაინდებად.

ეფრეიტორი ვინოგრადოვი ამბობს: „ჭო, კინალამ დამავიწყდა! მომწამვლელი ნივთიერება — ესეც გამოგონილია. ასეთი არაფერი გვქონია. რომ გვქონოდა, აირწინაღლებს დაგვირგებდნენ, თორემ თვითონაც ხომ მოვიწამლებოდით. განა ასე არ არის?“

ვ. დრობოტი, ცხადია, კვერს უკრავს და არაფერს ამბობს იმაზე, რომ თბილისის საავადმყოფოებში ათობით მოწამლული ადამიანია მოთავსებული და მათი ბედი ჯერაც გაურკვეველია. მალავს ქიმიური პრეპარატების გამოყენების ფაქტს, რაც უკვე არაერთხელ დადასტურეს ადგილობრივმა და მოწვეულმა ექსპერტებმა. ან რა იყო დასამალი, როდესაც სსრ კავშირის შს მინისტრი ჯარების ოფიციალურმა წარმომადგენელმა, გენერალ-მაიორმა ი. ტ. ეფიმოვმა, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღიარა, მასობრივ არეულობათა დროს ნებადართულია მოკლევადიანი ზემოქმედების ქიმიურ საშუალებათა გამოყენებაო... ეტყობა, ავტორს კოჭრეტული მიზანი დაუსახავს: გაამათელოს უკვე საქვეყნოდ გახმაურებული ფაქტი, რომ ჯარისკაცებმა იხმარეს მომწამვლელი გაზები და ორლესული ნიჩბები.

„არავითარი ნიჩბები არ გვქონია!“ — რიგითი პ. რიბაკის სიტყვებით ირწმუნება ავტორი. არადა, ნიჩბების გამოყენების ფაქტი ასევე დადასტურებულია და ეჭვს არ იწვევს. თურმე, არც სროლის ხმა გაუგიათ ჯარისკაცებს, სამაგიეროდ, დაუდგენიათ, რომ ხალხში ნასვამებიც ყოფილან (?!).

ვ. დრობოტა თვითმხილველთა განმარტებას არ სჯერდება, თვითონვე უკეთესს კომენტარს 9 აპრილს დატრიალებულ ტრაგედიას და „ავტორიტეტულ“ პოლიტიკური დასკვნებიც გამოაქვს. მაგრამ გაყალბებული ფაქტების კომენტარი განა შეიძლება მართალი იყოს (სხვათა შორის, არც ვ. დრობოტი და რედაქციის არც ერთი სხვა თანამშრომელი მიტინგზე არ ყოფილან).

...მე ვიდექი მთავრობის სასახლის წინ, ტრიბუნაზე, რუსთაველის გამზირისა და ჩიტაძის ქუჩის კუთხეში, როცა ტანკებმა ჩამოიარეს და ხალხი გადაჯგუფდა, განაპირა ხაზზე აღმოვჩნდი. ტანკები გამზირის სიღრმეში გაუჩინარდნენ და უმალ გამოჩნდა მშვიდობიანი მიტინგის „მშვიდობიან“ დამრბევთა მწყობრი სპეცრაზმი — ხელკეტებით, ნიჩბებითა და ფარებით შეიარაღებული. მათ დაიკავეს გამზირი და ორივე ტროტუარი მთელ სიგანეზე. ჩქარა ნაბიჯით მოგვიახლოვდნენ და ხუთი-ექვსი მეტრის მოშორებით შედგნენ. ჩვენ ჩავჯექით. რამდენიმე წამში ჯარი დაიძრა შემართული ხელკეტებით. დაგვიშინეს გამეტებით, არ ინდობდნენ არც ქალებს, არც ყმაწვილებს. ხალხი უკუიქცა რუსთაველის მოედნის მიმართულებით. ვიდრე მიწისქვეშა გასასვლელთან მივაღწევდი, სამჯერ თუ ოთხჯერ წავიქეცი. მერედა შეეშინე — ლესია უკრაინკის ქუჩიდან დამატებითი რაზმი ჩამოდიოდა ფეხაკრეფით. მომიტიგეთა ერთი ჯგუფი ალაფში მოექცა.... წარამარა გამოჰყავდათ დაჭრილ-დასახიჩრებულები. საზარელი სანახავი იყო ეს ყველაფერი.

რა ხდებოდა ამ დროს გამზირის მეორე მხარეზე? საქართველოს სახალხო მხატვარს, თბილისის მხატვართა სახლის დირექტორს თემო გოცაძეს მოუსმინეთ: „ჯარისკაცები შემოვარდნენ მხატვრის სახლში, დალეწეს პირველი და მეორე სართული, ნიჩბებით ჩეხეს ქანდაკებები. თავშეფარებულ, შეძრწუნებულ ქალებს და ბავშვებს ცხვირწინ უტრიალეს ხელკეტები და ნიჩბები. უშვერი სიტყვებით ლანძღეს ყოველივე, რაც ჩვენი საფიცარია...“

შეადარეთ ამას კაპიტან ვ. დრობოტისა და ჯარისკაცთა ნაამბობი, დანარჩენს თვითონ მიხვდებით. იმაზეც დარწმუნდებით, თუ რატომ აღაშფოთა „ლენინსკოე ზნამიას“ 16 აპრილის პუბლიკაციამ ჩვენი საზოგადოებრიობა. სხვათა შორის, ასევე ტენდენციურია ამ გაზეთში გამოქვეყნებული სხვა წერილებიც. მაგალითად, თუ მაიორ ბ. კონონენკოს 18 აპრილს რეპორტაჟს დავუჯერებთ, ისე გამოდის, რომ თურმე აგრესიული ხალხი გადათელვით ემუქრებოდა სათნო ჯარისკაცთა კოლონას. ბ. კონონენკო სიტყვასაც არ ამბობს 9 აპრილის ამბების ათობით მსხვერპლზე, სამაგიეროდ არ აფიწყდება, რომ თურმე, რიგითმა ისლამ ისლამოვმა დაკარგა საათი, უბის წიგნაკი, სამხედრო ბილეთი და ფული.

ყოველივე ამას თაობაზე იყო საუბარი გუშინწინ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ გამართულ ბრიფინგზე, რომელსაც ესწრებოდნენ ჩვენი ლიტერატურის, კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების წარმომადგენელნი და ჟურნალისტები. აქ მოვიდნენ გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაკოლეგიის წევრები, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსი. პირუთვნელად, შეუფერდებლად ითქვა სათქმელი. ნახეს ვიდეოფირი, მოისმინეს საავადმყოფოში გაკეთებული ჩანაწერები. სამწუხაროდ, ბრიფინგზე დასმული ბევრი კითხვა უპასუხოდ დარჩა, თუმცა კაპიტანმა ვ. დრობოტმა აღიარა: არ ვიცოდი მთლად ასე თუ იყო საქმეო. რატომ არ იცოდა, ან რატომ არ დაინტერესდა? რატომ რიგდებოდა ქუჩაში უფასოდ „ლენინსკოე ზნამიას“ 16 აპრილის ნომერი? საიდან ასეთი თვალთმაქცობა?... გასულ სამშაბათს „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციაში ვიყავი. პასუხისმგებელი მდივნის კაბინეტში კაპიტან ვ. დრობოტს „საუკეთესო რეპორტაჟის მომზადებისათვის“ ჩემს თვალწინ გადასცეს სამახსოვრო საჩუქარი — კალმისტრები! ასე გამოხატა რედაქციამ დამოკიდებულება თავისივე პუბლიკაციის მამართ.

სრულიად სწორსააღმდეგო გამოდგა საზოგადოებრიობის აზრი.

ახლა სიცრუით თავის მართლებას ის არ სჯობდა, თავის დროზე დაერიგებინათ ჯარისკაცები, თუმცა, ვინ იცის, იქნებ „დაარიგეს“ კიდეე?...“

მეორე მხრივ არც ისინი უნდა დავივიწყოთ, ვისი უთაურობითაც ქალაქის ცენტრში, თითქოს ომი ყოფილიყოს, ჯარები შემოიყვანეს. როგორც „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ წერს: „...რესპუბლიკის ხელმძღვანელები, რაკი ასეთი რამ გაბედეს, წინასწარ არ უნდა შეხვედროდნენ ჯარისკაცებს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ეს შემზარავი „სამუშაო“, მოლაპარაკებოდნენ, აეხსნათ, თუ რაზე და ვიზეა ლაპარაკი, მარტოოდენ, კაცმა არ იცის საიდან ჩამოსული, სამხედრო მეთაურებისათვის არ მიენდოთ წინასწარი ინსტრუქტაჟი? ეს ახალგაზრდები, ჯარისკაცები, ხომ ასევე ჩვენი შვილები არიან, ისინიც არ უნდა შევაჩვიოთ სისასტიკეს, ამასთანავე მარტოოდენ მეთაურებს კი არ უნდა ეზრუნათ, არამედ რესპუბლიკის ხელმძღვანელობასაც“.

თავში ითქვა და ახლაც გავიმეორებ: სიმართლის ხელყოფა ახალი დანაშაულია. ნურავის ნუ ეშინია სიმართლის დამარცხების იმედი. ადრე თუ გვიან ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. „თეთრი ლაქები“ არ უნდა დარჩეს. გავითვალისწინოთ თუნდაც მინსკის ამბების გაკვეთილები. შარშან ოქტომბერში მსგავსი აქცია მინსკშიც მოეწყო. მშვიდობიან დემონსტრანტთა გასარკვევად იქაც გამოიყენეს ხელკეტები და გაზის बალონები, მაგრამ პრესა დიდხანს დუმდა. ბოლოს მაინც აეხადა ფარდა ბევრ საიდუმლოს. ინფორმაციის დეფიციტი ათასი მითქმა-მოთქმის საბაბი ხდება. სიმართლე, როდესაც მწარეც უნდა იყოს, უნდა თქვას — სახალხოდ, ხალხისათვის. გაუსაძლის ტკივილს ვერავითარი სხვა წამალი ვერ გააყუჩებს.

**ელგუჯა ბერიშვილი.**

## ირაკლი მენაღარიშვილი:

# „მოწამვლის ფაქტი უდავოა“

**20 აპრილს** დილისათვის თბილისის საავადმყოფოებისა და კლინიკების სტაციონარებში 91 პაციენტი იყო სამოქალაქო პირთაგან, რომლებიც 9 აპრილს მომხდარი ტრაგიკული ამბების დროს დაშავდნენ. სულ ამ პერიოდში სამკურნალო დაწესებულებებს დახმარებისათვის მოაკითხა 800 კაცმა. 275 მათგანი ჰოსპიტალიზებული იყო.

ეს მონაცემები მოიყვანა საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა.

— დაშავებულები, — თქვა მან, — წვანან ცენტრალურ რესპუბლიკურ კლინიკურ, თბილისის პირველ, მეშვიდე, მერვე და ბავშვთა მეექვსე საქალაქო საავადმყოფოებში, რკინიგზის მეორე საავადმყოფოსა და თვალის სნეულებათა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის, ექსპერიმენტული და კლინიკური ნეიროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ცენტრის კლინიკებში.

მძიმედ არის სამი პაციენტი, ერთი მათგანი კი კრიზისულ მდგომარეობაშია.

დღეისათვის ამბულატორიულ მიღებაზე რესპუბლიკურ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში კვლავ მოდიან პაციენტები, რომლებიც უჩივიან მოწამვლას. მათმა რიცხვმა 484-ს მიაღწია. ყველას გაეწია საჭირო სამედიცინო დახმარება, მიეცა კონსულტაციები.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიაჩნია, რომ მიტინგის მონაწილეთა წინააღმდეგ ქიმიური საშუალებების გამოყენება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სამწუხაროდ, ქვეყნას ზოგიერთ ცენტრალურ გაზეთსა და ცენტრალური ტელევიზიის გადაცემებში ამ ფაქტებს განმარტავენ როგორც სავარაუდოს, რაც, თითქოს, დამატებით დამამტკიცებელ საბუთებს მოიხოვს, ან საერთოდ გვერდს უვლიან ამ თემას.

მინდა აღვნიშნო, რომ ეს უდავო ფაქტია. თუმცა დიდი დაგვიანებით, მაგრამ ეს აღიარეს მართლწესრიგის ძალების წარმომადგენლებმაც. ეს დადასტურეს აგრეთვე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მალალკვალიფიციურმა სპეციალისტებმა. მათ ზუსტად დასვეს 9 აპრილს გამოყენებული საშუალებებთან გამოწვეული მოწამვლის ორი სახეობის დიაგნოზი. ამ დასკვნას საფუძვლად უძევს ის კლინიკური სურათი, რომელიც მკაფიოდ არის გამოხატული დასნეულებულთა შორის. ამ დასკვნების საფუძველზე განსაზღვრა მკურნალობის მეთოდებიც, რომლებსაც თბილისელი ექიმები იყენებენ. (**საქინფორმი**).

▼▼

**საქართველოს** სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა თავის კაბინეტში მწვავე მოწამვლათა მკურნალობის საკავშირო ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ე. ლუფანოკოი გამაცნო. ჩვენი მკითხველებისათვის, რა თქმა უნდა, საინტერესო იქნება აღიარებული სპეციალისტის აზრი 9 აპრილს დილით რუსთაველის პროსპექტზე მოწამლულთა მდგომარეობაზე. აი, რას ამბობს იგი:

— ჩვენს მიერ გასინჯულ ავადმყოფებს გამაღიზიანებელი ნივთიერებებით სხვადასხვა სიმძიმის მოწამვლის ნიშნები ჰქონდათ.

რესპუბლიკური საავადმყოფოს მონაცემებით, სადაც ყველა ამბულატორიულ ავადმყოფს (დაახლოებით 200) სინჯავენ, ბევრს აღენიშნება გამაღიზიანებელი ნივთიერების მოქმედების ნარჩენი მოვლენები, რეაქციული ფსიქოგენური მდგომარეობანი.

ჩვენ გამეხორციელეთ ავადმყოფთა მკურნალობის კორექტირება, ზუსტდებოდა დიაგნოზი, შედგენილია ექიმშესისათვის სამახსოვრო, თუ როგორ მოუარონ ავადმყოფებს. ადგილობრივი ტოქსიკოლოგებისათვის მოეწყო კონსულტაციები ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკაზე, მათ შორის რეგიონალიტაციის პერიოდში. მოწამვლები გამოწვეულია გამაღიზიანებელი (ლაკრიმატორები) და ქლორიანი ლიტიკური მოქმედების ნივთიერებებით.

**ბადლობას** ვუხდი პატივცემულ პროფესორს და ახლა ირაკლი მენაღარიშვილს მივმართავ: —რუსთაველის პროსპექტზე მდებარე თეატრალურ ინსტიტუტში რამდენიმე დღით სწავლა შეწყვეტილა, თანამშრომლებს მოწამვლის ნიშნები აღმოჩენდათო. რას ამბობენ ამის თაობაზე სპეციალისტები?

— როგორც თეატრალური ინსტიტუტის თანამშრომლებმა დაგვიდასტურეს, 9 აპრილს, ინსტიტუტის შენობაში გაუშვეს მომწამლავი ქიმიური ნივთიერება, მეცხრე დღეს რამდენიმე კაცს აღენიშნა მოწამვლის სიმპტომები. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ, რა თქმა უნდა, სწორი გადაწყვეტილება მიიღო, დროებით რომ შეწყვიტა ლექციები. მოწვეულმა სამხედრო სპეციალისტებმა ვერ შეძლეს დაედგინათ, თუ რა იწვევდა მოწამვლას.

რაკი ჰაერში ნივთიერებების ანალიზი შეუძლებელი გახდა, ჩვენმა სპეციალისტებმა გადაწყვიტეს ავადმყოფობის სიმპტომებიდან გამომდინარე ემოქმედათ და დაიწყეს მთელი შენობის — კედლების, ფარდების, ტიხრების რეცხვა, წყლით დეგაზაცია, ცხადია, შენობა ერთიანად ნიავდება... თუ რამ გამოიწვია მოწამლა, ამას ძიება დაადგენს.

**ვილენ მარდალეიშვილი.**

„ივერიის“ ფურცლებიდან

# საინქვინრო აზროვნების საოცრება

● „პარიზის რკინის ქალბატონი“ — ეიფელის კოშკი 100 წლისაა. 1889 წელი ფრანგებმა ეიფელის საიუბილეო წლად გამოაცხადეს

**1889 წლის** 21 იანვარს „ეზეთი „ივერია“ მკითხველებს აუწყებდა: „მსოფლიო გამოფენისათვის ინჟინერმა ეიფელმა იკისრა საკვირველის კოშკის აგება პარიზში...“.

ეს საერთაშორისო გამოფენა ანუ „მსოფლიო გამოფენა“ რიგით მერვე იყო. (პირველი მსოფლიო გამოფენა გაიმართა 1851 წელს — ლონდონში, მეორე — 1855 წელს პარიზში, მესამე — 1862 წელს ლონდონში, მეოთხე — 1867 წელს პარიზში, მეხუთე — 1873 წელს ვენაში, მეექვსე — 1876 წელს ფილადელფიაში, მეშვიდე — 1878 და მერვე 1889 წლებში კვლავ პარიზში გაიმართა).

ეიფელის კოშკის მშენებლობა 1887 წლის 28 იანვარს დაიწყო და 1889 წლის 31 მარტს (ძველი სტილით) დამთავრდა, 2 წლისა და 2 თვის განმავლობაში მის აგებაზე მუშაობდა 200 მშენებელი.

სამსართულიანი კოშკის სიმაღლე 320 მეტრია. იგი იმ დროს ყველაზე მაღალი იყო მსოფლიოში, მაგრამ შემდგომში დაჩაჯრა ნიუ-იორკის ემფაიერ სთეიტ ბილდინგმა (დაახ. 380 მეტრი, აიგო 1931 წ.) კოშკის მაღლივი ნაგებობა თავდაპირველად გამოიყენეს, როგორც სამეცნიერო, ისე ტურისტული და „სამკურნალო“ მიზნითაც კი.

1890 წელს გაზეთი „ივერია“ მკითხველებს მოუთხრობდა: „ეიფელის კოშკის ზემო სართულებში ჰაერის სუნთქვა ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა ეგრეთ წოდებული „ნერვებით“ ავადმყოფთათვის და ბევრი ამგვარი ნერვებდასუსტებული ამ კოშკის წყალობით სრულიად განთავისუფლებულა თურმე თავის ავადმყოფობისაგან“.

კოშკი, რომელიც დგას მარსის მინდორზე, იონის ხიდის პირდაპირ, თავდადგე გახდა პარიზელთა ყველაზე საყვარელი ადგილი, ხოლო ეიფელის — კოშკის მშენებლის გვარი პოპულარული. „თურმე ყველგან — წერდა გაზეთი „ივერია“ — დაუუზადებიათ და ჰყიდიან ეიფელის შლაპებს, ეიფელის ყელსახვევებს, საყელოებს და სხვ. გაუკეთებიათ მაჯის ფოლაქები, რომელზედაც საფრანგეთის გამოჩენილი კოშკია დახატული“.

ხიდების ცნობილმა ფრანგმა ინჟინერ-კონსტრუქტორმა ალექსანდრე გუსტავ ეიფელმა (1832-1923 წ.წ.) 1855 წელს დაამთავრა პარიზის ხელოვნებისა და ხელოსნობის ცენტრალური სკოლა. გარდა კოშკისა, მას აუგია რკინიგზის ხიდი ნიჟი პორტუგალიაში (ოპორტოსთან, მდ. დუეროზე), რკინიგზის სადგური უნგრეთში, კაშხალი რუსეთში, ეკლესია — ფილიპინებზე, ფაბრიკა — ბოლივიაში, ნიკის ობსერვატორიის მბრუნავი, 100000-კილოგრამიანი გუმბათი, რომელიც თავისუფლად შეუძლია აამოძრაოს ერთმა კაცმა. ეიფელი ავტორია აგრეთვე ამერიკის „თავისუფლების ქანდაკების“ შიდა კარკასისა. მონაწილეობას იღებდა პანამის არხის მშენებლობაში. მან ხიდის აგებისას პირველმა გამოიყენა შეკუმშული ჰაერი. მანვე დააარსა ლითონ-საკონსტრუქციო საზოგადოება. 1910 წლიდან ეიფელი შეუდგა მოღვაწეობას მეტეოროლოგიისა და აეროდინამიკის დარგში. ამასთან, იგი მსხვილი მეწარმეც იყო. საინტერესოა, რომ ეიფელის მიერ დამზადებული ერთი ხიდი ბათუმშიც ჩამოუტანიათ.

მაგრამ ეიფელს მსოფლიო პოპულარობა მაინც პარიზის „რკინის ქალბატონმა“ მოუპოვა. კოშკის აგების დროს მან ზუსტად გამოიანგარიშა ყოველივე. ცნობილია, რომ 1 მილიონ 50 ათას 846 მოქლონისათვის გათვალისწინებული არც ერთი ნასვრეტი არ აღმოჩნდა ხელახლა გასაბურღი, ხოლო 18.038 კოჭიდან არც ერთი არ შეუცვლიათ. კოშკის წონა 10 ათასი ტონაა, და მას 1702-საფეხურიანი კიბე აუყვება. ცნობილია, რომ ყველაზე ძლიერმა ქარმა, რომლის სიჩქარე საათში 148,8 კმ. იყო, კოშკის წვერი მხოლოდ 12 სანტიმეტრით გადასწია. მას 7 წელიწადში ერთხელ 60 მუშა ღებავს. შესაღებად იხარჯება 23 ათასი ლიტრი საღებავი.

თავდაპირველად კოშკი საქციო საზოგადოებას ეკუთვნოდა, 1909 წლიდან კი — სახელმწიფო საკუთრება გახდა.

უცნაური ბედი დაეკვება კოშკს. მას დაშლაც კი დაუპირეს, დედაქალაქის პეიზაჟს „ამახინჯებსო“, მაგრამ შემდეგ მასზე რადიოსადგურია დადგეს და გადარჩა.

1921 წელს კოშკზე დაიდგა მსოფლიოში პირველი რადიოსადგური, ხოლო 1957 წელს — სატელევიზიო ანტენა, რომელიც 6 არხს იღებს.

1981 წელს კოშკი კაპიტალურად შეკეთდა. 1987 წელს კი მასზე 292 პროექტორი დაიდგა.

ეიფელის კოშკი 100 წლის მანძილზე 224 მილიონ კაცს დაუთვალიერებია. ჩვენი დიდი თანამემამულეებიც სწვევიან ეიფელის კოშკს. ვიცით, რომ ეიფელზე ასულან ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვანი.

პარიზის „რკინის ქალბატონი“ დღეს იუბილარია.

**სულიკო ნუცუბიძე.**

ხალხური შემოქმედება

# საიმედო ბურჯები

**თანამედროვეობამ** ხალხური შემოქმედების მრავალი ნიმუში შემოინახა, რომელიც ერის საუნჯეს წარმოადგენს. ამ საუნჯის ერთ-ერთ დამცველად გვევლინება ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის მომღერალთა ჯგუფი ქართული ხალხური სიმღერის დიდი ენთუზიასტის სულიკო ციმაკურიძის ხელმძღვანელობით.

კიცხელებს განსაკუთრებით უყვართ სიმღერა. ცნობილია ნინილაშვილების, პავლაძეების, მაჭავარიანების, ავალიშვილების, გამრეკელაშვილების, ზვიადაძეების, გაგოშიძეების მომღერალთა ოჯახები. ბევრი მათგანი სარაიონო კულტურის სახლის სიმღერის სახალხო ანსამბლში მღერის. ერთ-ერთი კი, სულიკო ციმაკურიძე, სოფლის სასიმღერო ტრადიციის მომვლელშემნახავად იქცა.

იგი სახალხო ანსამბლში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ქართული სიმღერის ქომაგის და ჭირისუფლის ივანე აბაშიძის ხელმძღვანელობით ეცნობოდა ქართული სიმღერის საიდუმლოებებს, ეუფლებოდა შესრულების ოსტატობას და საგუნდო ხელოვნებას. არის რესპუბლიკური, საკავშირო და საერთაშორისო ფესტივალების ლაურეატი.

სიმღერაზე შეყვარებული კაცი თავის მდიდარ გამოცდილებას წლების მანძილზე ხალისით გადასცემდა საშუალო სკოლის მოსწავლეებს, მომღერალთა ჯგუფებს.

ამ ორიოდე წლის წინათ სულიკო ციმაკურიძის ხელმძღვანელობით კიცხის სასოფლო კულტურის სახლთან შეიქმნა ფოლკლორული ჯგუფი, რომელშიც მისი თანასოფლელები, რიგითი კოლმეურნეები ბორის ზვიადაძე, სოსო დვალიშვილი, ომარი კვარკვახიძე და იუზა ბერაძე გაერთიანდნენ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ანსამბლის წევრთა ნინაპრები, ბაბუებიც და მამებიც კარგი მომღერლები იყვნენ.

ანსამბლის წევრებმა გადაწყვიტეს აღედგინათ თავიანთი კუთხის მივიწყებული ძველი ხალხური სიმღერები. მათ მონდომებით დაამუშავეს იმერული სახუმარო სიმღერა „ბიჭო, ითხოვე ქალიო“, „ჭონა“, „პატარა საყვარელი“, „მასპინძელსა მხიარულსა“, „გულო შავგულო“ და სხვ.

ანსამბლის დებიუტი ქართული სიმღერის დღესასწაულზე, ზესტაფონში, სოფელ ცხრანყალიანებულ დათვალიერებაზე. ანსამბლი სისტემატიურად გამოდის რაიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებზე. კოლექტივს ამ ხნის განმავლობაში მრავალრიცხოვანი პრიზები, დიპლომები და სიგელები დაუგროვდა.

მათი სიმღერები ხშირად გაისმის ყანასა თუ ვენახში, საკოლმეურნეო ფერმასა თუ სატრაქტორო პარკში, სადაც თვითონ შრომობენ. დიდი მონდომებით აგროვებენ სოფელში ქართული ხალხური შემოქმედების მარგალიტებს, ამუშავებენ მას და ანიჭებენ მარადიულ უკვდავებას.

კიცხელი სიმღერის ენთუზიასტები წინაპრების მიერ გადებულ ხიდს საიმედო ბურჯად უდგანან.

**ჯ. ზარიძაძე,**
**„კომუნისტის“ საკ. კორ.**




**დღეს** დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ზოგან ხანმოკლე წვიმა, ელქექი, აღმოსავლეთის ქარი 9-14 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით 8-17, დღისით 20-25, მთაში — ღამით 4-9, დღისით 16-21, მაღალმთიანეთში — ღამით 2-7, დღისით 10-15 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში: დარი, ტემპერატურა — ბარში ღამით 4-9, დღისით 22-27, მთაში — ღამით 1-6, დღისით 19-24, მაღალმთიანეთში — ღამით მინუს 2-პლუს 3, დღისით 13-18 გრადუსი.

**თბილისში** — ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ტემპერატურა — ღამით 7-9, დღისით 25-27 გრადუსი.

## ტელევიზია — პარასკევი, 21 აპრილი

### მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 7.30 — „120 წუთი“. 9.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.00 — საბავშვო ფილმი „შენთან ერთად“. 11.10 — მულტფილმები. 11.40 — ახალი ამბები. 11.50 — სიმღერა მორეული და ახლობელი. 12.30 — „წელიწადის დრონი“. აპრილი. 16.30 — ახალი ამბები. 16.45 — დოკუმენტური ფილმები. 17.25 — ჰ. ი. ჩაიკოვსკი — სერენადა სიმებიანი ორკესტრისათვის. 17.55 — ვ. ი. ლენინის დაბადების 119-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა და კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ვიყიდი თეატრის ბილეთს“... 23.05 — „ეს იყო... იყო...“ 23.25 — „თვალსაზრისი“.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ნეპი: ისტორიის გაკვეთილები“. 9.35 და 10.35 — მუსიკა. 9.55; 10.55 და 11.55 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 10.05 და 12.05 — ინგლისური ენა. 11.05 — ფრინველები და მხეცები ერთ ჭერქვეშ. 11.35 და 12.35 — ჩვენი გარემომცველი სამყარო. II კლასი. 12.55 — მეგობართა ეკრანი. „უკან დასაბრუნებელი ბილეთი“. მხატვრული ფილმი. 14.30 — რიტმული ტანვარჯიში. 15.00 — დოკუმენტური ტელეფილმი „მუსიკა ულიანოვების ოჯახში“. II ფილმი. 18.05 — დ. შოსტაკოვიჩი — № 10 სიმფონია. 19.05 — ახალი ამბები. 19.15 — ყაზახეთის სსრ სახტელერადიო. 19.50 — „ჩვენი დღეების ქრონიკა“. კინოჟურნალი. 20.00 — ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდები. შესვენებისას — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მოკავშირე რესპუბლიკათა სტუდიების ფილმები. „ქორწილის წინ“. 23.35 — ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. შვეიცარია და კანადის ნაკრები გუნდები. შესვენებისას (0.15) — ახალი ამბები.

ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტი და საწარმოო გაერთიანება „ბამთო ქიმიის“ დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ სტალინური უბედურების — ლვარცოფის მოვარდნის შედეგად დაიღუპნენ „ჭუთბარიტის“ მაღაროთა სამმართველოს ბაჯიორის ბამთო უბნის გვირაბგამყვანები

**გურგენ სარდიონის ძე ლომთაძე,**
**ილია მურმანის ძე გაგიძაშვილი,**
**მერაბ ნოდარის ძე ახვლედიანი**

და თანაგრძნობას უცხადებენ დაღუპულთა ოჯახებს.

**სპორტის ამბები**

# საფეხბურთო ტალღაზე

**უმაღლესი** ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურის მატჩების შედეგები ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. ახლა კი გთავაზობთ გთამაშების ცხრილს, რომელშიც გუნდები ასეთი თანმიმდევრობით არიან განაწილებული:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **„სპარტაკი“** | 8 | 5 | 3 | 0 | 17-3 | 13 |
| **„დინამო“ ქ.** | 8 | 4 | 3 | 1 | 13-7 | 11 |
| **„დნეპრი“** | 8 | 4 | 2 | 2 | 10-6 | 10 |
| „ჩერნომ.“ | 8 | 4 | 2 | 2 | 10-10 | 10 |
| „ცალგ.“ | 8 | 4 | 1 | 3 | 10-9 | 9 |
| „არარატი“ | 8 | 4 | 1 | 3 | 7-8 | 9 |
| „მეტალისტი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 9-10 | 8 |
| „დინამ